# უმანკოება

ამაზეციერს უყვარხართ. მისი სურვილია იყოთ ბედნიერნი აწ და მარადის. ჩვენს დასახმარებლად მან თავისი წინასწარმეტყველების მეშვეობით გადმოგვცა მცნებები და რჩევა-დარიგებანი. თქვენი სიმშვიდისა და ბედნიერებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი მცნება ეხება ინტიმური კავშირის სიწმინდეს და ის ცნობილია, როგორც უმანკოების კანონი. უფალმა ეს კანონი დასაბამიდანვე დააწესა, და კვლავაც აღნიშნა მისი მნიშვნელობა, როდესაც გაუმხილა ის წინასწარმეტყველ იოსებ სმითს, როგორც იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების ნაწილი. ამ მცნების დაცვა უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრად მონათვლის აუცილებელი პირობაა.

## *რა არის უმანკოების კანონი?*

ცოლ-ქმრული ურთიერთობა არის ღვთის გეგმის მშვენიერი და წმინდა ნაწილი. ეს არის ოჯახში სიყვარულის გამოხატვისა და სიცოცხლის გაგრძელების საშუალება. ღვთის სურვილის თანახმად ეს წმინდა ურთიერთობის ძალა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ კანონიერად დაქორწინებულ წყვილს შორის. უმანკოების კანონი ეხება, როგორც ქალს, ასევე მამაკაცს. ეს კანონი კრძალავს სქესობრივ ურთიერთობას ქორწინებამდე და მოითხოვს მეუღლეებისაგან ერთგულებას ქორწინების შემდეგ.

*უმანკოების კანონი მოითხოვს, რომ სქესობრივი ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის შედგეს მხოლოდ ქორწინების შემდეგ.*

ინტიმური ურთიერთობების გარდა, უმანკოების კანონი ასევე ეხება აზრების, მეტყველებისა და საქციელის კონტროლს. იესო ქრისტე გვასწავლიდა: „გსმენიათ, რომ თქმულა: არ იმრუშო, მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში.“ (მათე 5:27–28).



## *რატომ უნდა დავიცვა უმანკოების კანონი?*

მამაზეციერმა მოგცათ უმანკოების კანონი, რათა იყოთ დაცულნი და დალოცვილნი. როგორც ყოველი სიწმინდე, ფიზიკური სიახლოვეც უნდა იქნას გამოხატული ღვთის მითითების თანახმად. თუკი უმანკოების კანონის დაცვით იცხოვრებთ, თქვენი ცხოვრება გახდება ბედნიერი, მშვიდი და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემით აღსავსე. თქვენი ოჯახური ურთიერთობა ნდობაზე და საკუთარი თავის კონტროლზე იქნება აგებული. თქვენ სული წმინდის გავლენით დატკბებით იესო ქრისტეს სახარების ლოცვა-კურთხევით.

*უმანკოების კანონის დაცვით:*

- *სული წმინდის მადლი შემოდის თქვენს ცხოვრებაში.*
- *თვითკონტროლის საშუალებით იზრდება პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ.*
- *იზრდება ურთიერთნდობა.*
- *თქვენი სიყვარული, თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა მიმართ იზრდება.*

სატანა შთააგონებს ადამიანებს, რომ სექსუალური ურთიერთობები ოჯახის ფარგლებს გარეთ მისაღებია და სასურველიც კი, მაგრამ ეს სერიოზული ცოდვაა. ღმერთი ყოველთვის ასწავლიდა თავის შვილებს უმანკოებას (იხილეთ გამოსვლა 20:14 და ალმა 39:3–5). ეს მარადიული პრინციპია.

უმანკოების კანონის დარღვევა არის ღვთის მიერ მოცემული სიცოცხლის შექმნის ძალის

შეურაცხყოფა, ღმერთის და მისი შვილების მიმართ უპატივცემლობა. ასეთი საქციელის შედეგად ეცემა სულიერება, ამას ხშირად მოჰყვება სიმწარე, გულის ტკივილი, ოჯახის დანგრევა, დაავადება და აბორტი. ისინი, ვინც არღვევენ უმანკოების კანონს, უფრო ადვილად ხვდებიან სატანის ზემოქმედების ქვეშ. ეს ცოდვა სერიოზულად აზიანებს, როგორც ოჯახის წევრებს, ასევე სხვებსაც.

## *როგორ დავიცვა უმანკოების კანონი?*

ღმერთი თავისი შვილებისაგან მოითხოვს მაღალ ზნეობრივ სტანდარტებს. უმანკოების კანონის დასაცავად შეცვალეთ ყოველივე არასასურველი თქვენთვის სასარგებლო აზრებით, სიტყვებითა და საქციელით. ამ პრინციპის განხორციელებაში დაგეხმარებათ ასეთი რამ:

> *დაე კეთილშობილება ამკობდეს თქვენს აზრებს მარად; მაშინ თამამად წარსდგებით ალალ-მართალნი ღმერთის წინაშე.*
>
> **მოძღვრება და აღთქმები 121:45**

**აზრები:** დადებითი და შემოქმედებითი აზრები განდევნიან უარყოფით და ამორალურ აზრებს. როდესაც თქვენი ცხოვრება აღივსება სასარგებლო აზრებითა და ღონისძიებებით, თქვენი უარყოფითი აზრების შეცვლისა და დაძლევის უნარი გაიზრდება. წმინდა წერილების კითხვა, ოჯახის წევრებისთვის მსახურება, ბეჯითი შრომა, და

გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, დაგეხმარებათ აზრების კონტროლში.

მოერიდეთ პორნოგრაფიის ყოველგვარ ფორმას. ის ჩვევაში გადადის და გაზიანებთ. ის გაკარგვინებთ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას და გართმევთ სიცოცხლის სილამაზის აღქმის უნარს. თქვენს ცნობიერებასა და მხედველობის არეალში არ უნდა მოექცეს არავითარი ამორალური აზრები თუ სურათები. არ უყუროთ, არ წაიკითხოთ და არ მოისმინოთ ის, რაც მდაბლად გამოხატავს ადამიანის სხეულის ნაწილებს და სქესს. ნუ შეხედავთ სხვებს ჟინით აღსავსენი და თავი აარიდეთ მაცდურ ფილმებს, სერიალებს, ვებგვერდებს, მუსიკას, წიგნებს, ჟურნალებს და ღონისძიებებს.

**მეტყველება:** თქვენმა სიტყვებმა უნდა გააძლიერონ და აღამაღლონ ადამიანები. საუბარში თავი აარიდეთ დამამცირებელ, ვულგალურ, უწმაწურ სიტყვებს, ხუმრობებსა და თემებს.

**საქციელი:** ყოველთვის მოექეცით სხვებს პატივისცემით. ჩაიცვით მოკრძალებულად. თუკი გეხსომებათ, რომ ყოველი ადამიანი ღვთის შვილია და ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ სხვები დააყენოთ უფლისკენ მიმავალ გზაზე, თქვენ უმანკოების კანონის დასაცავად დამატებითი ძალა მოგეცემათ.

თავდაპირველად მიიღეთ გადაწყვეტილება არ გააკეთოთ არაფერი ისეთი, რაც ქორწინების

ფარგლებს გარეთ აღძრავს თქვენში ან სხვა ადამიანში იმ ძლიერ ემოციას, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაშია დასაშვები. არ მიიღოთ მონაწილეობა ჰომოსექსუალურ, ლესბოსურ ან სხვა რომელიმე ამორალურ ქმედებაში. ის, რაც შესაძლოა ცდუნების წყაროდ იქცეს შეცვალეთ შემოქმედითი ღონისძიებებითა ან რაიმე ჰობით. ოჯახში იყავით თქვენი მეუღლის ერთგული, როგორც აზრით, ასევე საქციელით.

რადგან უმანკოების კანონი ღმერთთან გვაახლოვებს, სატანა ყველანაირად ცდილობს დაგვარღვევინოს ეს კანონი. მან იცის, როცა მარტოობას განიცდით, დაბნეული ხართ, ან სულიერად გატეხილი. ის ზუსტად მაშინ გაცდუნებთ, როდესაც სუსტი ხართ. ილოცეთ და სთხოვეთ მამაზეციერს დახმარება, ის გაგაძლიერებთ თქვენ და დაგეხმარებათ ცდუნების დაძლევაში (იხილეთ 1 კორინთელთა 10:13). როდესაც თქვენ ღმერთს მიენდობით და ეცდებით ამ პრინციპებით ცხოვრებას, თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ცდუნება.

## *რა ლოცვა-კურთხევა მოჰყვება უმანკოების კანონით ცხოვრებას*

როდესაც თქვენ უმანკოების კანონით ცხოვრობთ, ხდებით უფრო გახსნილი სული წმინდის მიმართ. მისი გავლენით თქვენ მოიხვეჭთ მეტ სიბრძნეს, უფრო გაბედულად გადალახავთ სირთულეებს, იგრძნობთ ღმერთის თანადგომასა და

*მიუხედავად იმისა, რა ჩაიდინეთ წარსულში, თქვენ მაინც შეგიძლიათ გახდეთ დიდი დალოცვის ღირსი, თუკი ახლა მიიღებთ გადაწყვეტილებას იცხოვროთ უმანკოების კანონის თანახმად.*

მფარველობას, ოჯახისათვის და სხვებისათვის იქცევით მაგალითად. თქვენი მეორე ნახევრისადმი სიყვარული უფრო ღრმა და გააზრებული გახდება. თქვენი აზროვნება არნახულ სიმშვიდეს მოიპოვებს.

წმინდა წერილებიდან ვიცით, რომ ღვთის მცნებების დაცვას ნამდვილი ბედნიერება მოჰყვება (იხილეთ მოსია 2:41) და "ცოდვას არასდროს თან არ ახლდა ბედნიერება" (ალმა 41:10).

უმანკოების კანონის დარღვევის შემთხვევაში, ღმერთი გაძლევთ საშუალებას მოინანიოთ და განიწმინდოთ ამ ცოდვისგან. ახლავე მოინანიეთ ცოდვები, და მიიღეთ გადაწყვეტილება იცხოვროთ ამ წმინდა კანონის თანახმად. იესო ქრისტეს გამოსყიდვისა და გულწრფელი მონანიების წყალობით, თქვენ მოგეტევებათ ეს ცოდვა და სიმშვიდე დაგეუფლებათ.

## დამატებითი საკითხავი მასალა

შემდეგი კითხვები და ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან, დაგეხმარებათ ამ ბუკლეტში მოცემული პრინციპების უკეთ გაცნობაში. წმინდა წერილებში მოცემული შენიშვნები და კომენტარები მიგითითებენ ამ პრინციპებთან დაკავშირებულ დამატებით ნაწყვეტებსა და წყაროებზე.

### რას ნიშნავს უმანკოების კანონით ცხოვრება? რატომ არის ეს კანონი ესოდენ მნიშვნელოვანი?

გამოსვლა 20:14 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

იგავები 6:27–32 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

ტიტე 2:11–12 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

ალმა 39:3–5 (Book of Mormon, page 306)

3 ნეფი 12:27–30 (Book of Mormon, page 432); იხილეთ აგრეთვე მათე 5:27–30 ახალი აღთქმა)

"ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" (მისიონერები ან ოჯახის წევრები დაგეხმარებიან ამ და სხვა მასალების პოვნაში: *True to the Faith*, *For the Strength of Youth*,. ჩამოთვლილი მასალების პოვნა შეიძლება საიტზე www.mormon.org.)

"Chastity," *True to the Faith*

### როგორ მოვიპოვო უმანკოების კანონით ცხოვრებისათვის საჭირო ძალა?

1 კორინთელთა 10:13 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

მოსია 4:29–30 (Book of Mormon, page 157)

ალმა 38:12 (Book of Mormon, page 305)

*For the Strength of Youth* pamphlet




## რა უნდა გავაკეთო?

- *გააგრძელეთ მორმონის წიგნის კითხვა.*

  *წასაკითხი მასალა:*_____

  _____

- *დაიცავით უმანკოების კანონი. ილოცეთ, რათა მოგეცეთ ძალა ამ მცნების დასაცავად.*
- *ამ კვირა დღეს მობრძანდით ეკლესიაში.*
- *გააგრძელეთ ნათლობისთვის მზადება.*

  *ნათლობის თარიღი:*_____

- *ეწვიეთ www.mormon.org ვებგვერდს, რათა მეტი შეიტყოთ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის შესახებ.*
- *გააგრძელეთ შეხვედრები მისიონერებთან, რამეთუ მეტი შეიტყოთ აღდგენილ სახარებაზე.*

  *შემდეგი შეხვედრის თარიღი:*_____

  *მისიონერების სახელები და ტელეფონის ნომრები:*

  _____

  _____

  _____

უკანასკნელი დღეების
წმინდანთა
იესო ქრისტეს
ეკლესია

**www.mormon.org**

**ინფორმაცია სურათების შესახებ**
ყდაზე: საიმონ დუის *Hear Ye Him*, ნახატის ფრაგმენი. © საიმონ დუი
გვერდი 6 *მაცხოვარი*, დელ პარსონის მიერ. © დელ პარსონი
გვ. 2, 5, 9, 10, 13 Marina Lukach

© 2012 Intellectual Reserve, Inc-ის მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 11/05. თარგმანი დამტკიცებულია: 11/05.
თარგმანი *Chastity* Georgian. 01139 131

GEORGIAN
4 02011 39131 1
01139 131